



## მიტროპოლიტი ილარიონი: რუსეთის სახელმწიფო კანაში მთავარანგელოზ მიქაელის ტაძრის აღდგენაზე იზრუნებს



2021 წლის 27 ნოემბერს გადაცემაში „ეკლესია და მსოფლიო“, რომელიც შაბათს და კვირას ტელეარხ «Россия 24»-ზე გამოდის, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა გადაცემის წამყვანის, ეკატერინე გრაჩევას კითხვებს უპასუხა.

**ე. გრაჩევა:** გამარჯობა! ეს არის გადაცემა „ეკლესია და მსოფლიო“-ს დრო ტელეარხ „Россия 24“-ზე. ჩვენ ყოველ კვირაში რუსეთისა და მსოფლიოს მოვლენებზე მთავარ შეკითხვებს ფუსვამთ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ილარიონს. მოგესალმებით, მეუფე!

**მიტროპოლიტი ილარიონი:** მოგესალმები, ეკატერინე! მოგესალმებით ძვირფასო ძმებო და დებო!

**ე. გრაჩევა:** ჩრდილოვან ინტერნეტ რესურსებზე გასაყიდად გამოიტანეს იმ მოქალაქეების მონაცემები, რომლებმაც თავისთვის ვაქცინაციის და პისიარის ყალბი საბუთები შეიძინეს. პერსონალური ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში 500 ათასზე მეტი ადამიანია. ზოგიერთის აზრით, ეს საიტები და

რესურსები, საკუთრივ, სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ შემდგომში ეს მოქალაქეები დააშანტაჟონ. ამ სიახლესთან დაკავშირებით დაიწყო განხილვა: აუცილებელია თუ არა ამნისტია ასეთი მოქალაქეებისა და ექიმებისთვის, რადგან გახშირდა თითქოსდა აცრილი რუსების მოთხოვნაც, რომ ერთი, ორი, სამი თვის შემდეგ უკვე ნამდვილი ვაქცინა გაიკეთონ? თქვენ როგორ ფიქრობთ, მეუფევ, უნდა გამოცხადდეს თუ არა ასეთი ამნისტია იმ ექიმებისთვის, რომლებიც „ვაქცინირებულებისთვის“ ყალბ ცნობებს გასცემდნენ?

**მიტროპოლიტი ილარიონი:** მე ვფიქრობ, რომ უპირველეს ყოვლისა საუბარი ეხება კანონდარღვევას, და თუ ადამიანები არღვევენ კანონს, კანონის მიხედვით უნდა დაისაჯონ. ახლა არ არის დრო, რომ მატყუარებისა და ავანტიურისტების ამნისტირება მოვხდინოთ. ახლა ჩვენ ყველა ზომა უნდა მივიღოთ იმისთვის, რომ ფეიკი სერტიფიკატების გაყიდვის შესაძლებლობა გამოვრიცხოთ, რათა თითოეულმა ადამიანმა, ვინც ვაქცინა გაიკეთა, მიიღოს ნამდვილი სერტიფიკატი და მისით საზოგადოებრივ ადგილებში შესვლა შეძლოს.

რას ნიშნავს ფეიკი სერტიფიკატი? ჯერ ერთი, რომ ადამიანი საფრთხეს უქმნის თავის სიცოცხლეს და მეორეც, მის გარშემო მყოფთა სიცოცხლეს. ჩვენ ყოველდღიურად დაღუპულთა რაოდენობის ახალ რეკორდებს ვამყარებთ, ჩვენთან დღეში ათასზე მეტი ადამიანი კვდება – ეს დიდი რიცხვია. რასაც არ უნდა ამბობდნენ ვაქცინაციის მონინაალმდეგენი, რასაც არ უნდა ამბობდნენ ისინი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არანაკლები ადამიანი იღუპება გრიპით ვიდრე კოვიდით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. ეს უზარმაზარი რიცხვებია, ჩვენ ხალხს ვკარგავთ. საავადმყოფოები გადავსებულია, ექიმები გადატვირთულია. და ამ უზარმაზარი კრიზისის ფონზე, რომელმაც ჩვენი ქვეყანა მოიცვა, ფეიკი სერტიფიკატების გაყიდვა უმაღლესი საფეხურის უზნეო ქმედებასა და დანაშაულს წარმოადგენს, რომლისათვისაც დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ: მათაც, ვინც ყიდის ამ სერტიფიკატებს, და მათაც, ვინც მათ ყიდულობს.

**ე. გრაჩევა:** მეუფევ, ამ კვირაში ცნობილი გახდა, რომ მთავრობამ მოიწონა და სახელმწიფო დუმას განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი მამაკაცის უფლებების გაფართოების შესახებ დედობრივი კაპიტალის მიღებასთან დაკავშირებით. ამ კატეგორიის მამაკაცთა სიაში, რომლებსაც შეუძლიათ მიიღონ ეს კაპიტალი, ისინიც არიან, ვინც შვილებს სუროგატი დედებისგან ზრდიან. ჩვენ გვახსოვს, რომ ივნისში პირველი „მერცხალი“ გაფრინდა: საკონსტიტუციო სასამართლომ ასეთი ნორმა მოიწონა. ახლა სიტყვა სახელმწიფო დუმას ეკუთვნის. „კომსომოლსკაია პრავდა“ საკუთარი გამოკითხვა ჩაატარა: ამ გადამწყვეტილებას გამოკითხულთა 60 პროცენტი ეთანხმება. ეკლესია რას იტყვის ამაზე?

**მიტროპოლიტი ილარიონი:** ჩვენ სუროგატულ დედობასთან დაკავშირებით გარკვეული პოზიცია გვაქვს, რომელიც „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური კონცეფციის საფუძვლებშია“ დაფიქსირებული, შემდეგ კი დამატებით მიღებულ დოკუმენტში – „სუროგატი დედებისგან დაბადებული ბავშვების ნათლობის შესახებ“. ჩვენ არ ვერევიტ კანონმდებლობაში, ადამიანების პირად ცხოვრებაში, მაგრამ იმათთან დაკავშირებით, ვინც ეკლესიის წევრია, საკმაოდ მკაფიოდ და ცალსახად ვსაუბრობთ: სუროგატული დედობა ეკლესიის მიერ მოწონებული არ არის და არ იკუთრება, რადგან სუროგატული დედობა არის ჩარევა იმაში, რაც თავად ღმერთს მიეკუთვნება.

ბავშვები მამისა და დედისგან უნდა დაიბადონ, ბიოლოგიური მამისგან და ბიოლოგიური დედისგან.

შვილები კანონიერ ქორწინებაში იბადებიან, რომელიც ქორწინების საიდუმლოთი არის ნაკურთხი – ესაა სწავლება, რომელსაც ეკლესია ყოველთვის აღმსარებლობდა. ის, რაც სცილდება ამ სწავლების ჩარჩოს, ქორწინების მთლიანობის დარღვევაა, ეკლესია მას ვერ მიიღებს. შესაბამისად, ეკლესიას ასევე არ შეუძლია მოიწონოს სუროგაციის ამა თუ იმ ფორმით მხარდაჭერის ინიციატივები.

**ე. გრაჩევა:** რუსმა მუსლიმებმა ქალაქის ხელისუფლებას სთხოვეს, ნება დართონ, მოსკოვის მეტროსადგურებში სალოცავი ოთახები მოანწყონ, რათა მათ რეგულარული ნამაზის შესრულება შეძლონ, როგორც ამას მათი რელიგია მოითხოვს. მეტროში ასეთი სალოცავი ოთახები რომ გამოჩნდეს, ამისადმი როგორ განენწყობოდით?

**მიტროპოლიტი ილარიონი:** მე ვფიქრობ, რომ ჩვენს სამშობლოში უნდა შევქმნათ პირობები იმისთვის, რომ ყველა რელიგიურ კონფესიას უფლება ჰქონდეს თავისი რწმენა თავისუფლად გამოხატოს.

თუ მუსლიმებზე ვსაუბრობთ, მაშინ მე არაერთხელ მინახავს ახლო აღმოსავლეთში და სხვა ქვეყნებში, როგორ წყვეტენ მუსლიმები თავიანთ საქმიანობას ნამაზის დროს. მაგალითად, რომელიმე მაღაზიაში ვაჭარი ხალიჩაზე დგება და ნამაზს ასრულებს. ის არ უყურებს გარშემომყოფებს, არ ერიდება იმას, რომ საკუთარ რელიგიურ გრძნობებს საჯაროდ გამოხატავს. ის ამას აკეთებს, იმიტომ რომ რელიგია მას ასე უბრძანებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს სამშობლოში უნდა იყოს პირობები, რომ თითოეულ ადამიანს შეეძლოს თავისი რელიგია თავისუფლად იაღმსარებლოს.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის თვალსაზრისით, ლოცვის ადგილებს ტაძრები წარმოადგენს. ჩვენ ტაძრებში მივდივართ იმისთვის, რომ ვილოცოთ. ამავე დროს, ჩვენ მცნება გვაქვს, რომელიც თავად პავლე მოციქულამდე აღის: „მოუკლებელად ილოცევდით“ (1 თეს. 5:17). ჩვენ მონოდებულები ვართ ვილოცოთ არა მხოლოდ ტაძარში, არამედ მაშინაც როცა ვართ მეტროსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში.

მართლმადიდებლურ ტრადიციაში მიღებული არაა, დაფუძვალთ, ქუჩაში გაჩერება და ისე ლოცვა, როგორც ამას მუსლიმები აკეთებენ. თუ ჩვენ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვლოცულობთ, ამას ჩვენთვის ჩუმად ვაკეთებთ. მაგრამ ყველა რელიგიურ ტრადიციას თავისი წესები აქვს. მაგალითად, ებრაელები შაბათს ისე მკაცრად იცავენ, როგორც ერთმა ებრაელმა მითხრა, რომ თუ, მაგალითად, შაბათის დადგომის დროს აეროპორტში აღმოჩნდება და სადმე შორს უნდა გაფრინდეს, მაშინ აეროპორტში ერთი დღე უნდა იჯდეს, სანამ შაბათი არ დამთავრდება, რათა მან თავისი ფრენის განახლება შეძლოს.

თითოეულ რელიგიას თავისი წესები აქვს, ისინი პატივისცემას იმსახურებენ. თუ მუსლიმებისთვის შეიქმნება სალოცავი ოთახები, მაშინ უნდა შეიქმნას სალოცავი ოთახები როგორც ქრისტიანებისთვის, ასევე სხვა რელიგიური ტრადიციების წარმომადგენლებისთვის, რადგან მათაც აქვთ საკუთარი რელიგიური მოთხოვნილებები.

სხვათა შორის, მსოფლიოს მრავალ აეროპორტში არის ასეთი სალოცავი ოთახები სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლებისთვის. მაგალითად, ბრიუსელის აეროპორტს აქვს ექვსი სალოცავი ოთახი: ერთი კათოლიკებისთვის, მეორე პროტესტანტებისთვის, მესამე მართლმადიდებლებისთვის, მეოთხე მუსლიმებისთვის, მეხუთე იუდეველებისთვის და მეექვსე ეს არის ოთახი უბრალოდ ურწმუნოებისთვის, სადაც მათ მისვლა და ფსიქოლოგთან კონსულტაციის გავლა შეუძლიათ.

მეორე კითხვაა, სად მოენყოფა ეს შენობები? იმიტომ რომ ყველამ კარგად ვიცით მეტროპოლიტენი: იქაა ბილიკები, რომლებზეც მატარებლები მოძრაობენ, სადგურები, სადაც მგზავრები იკრიბებიან და თუ თითოეულ სადგურზე სალოცავი ოთახები მოენყოფა, მაშინ სად და როგორ განთავსდება ისინი? მაშინ, ალბათ, ყველა მეტროსადგურის გადაპროექტირება და გადაკეთებაა საჭირო. არ ვიცი, მზად არის თუ არა მოსკოვის მეტროპოლიტენი ასეთი სახეცვლილებისთვის.

**ე. გრაჩევა:** მსურს რუსული ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესებზე ვისაუბრო. რუსული ენა სწორედ მისი მიხედვით ცხოვრობს 1956 წლიდან. აღმოჩნდა, რომ სამოც წელზე მეტია ამ ნიშნობაში ცვლილებები არ მომხდარა და, ფილოლოგების აზრით, დადგა დღე, როცა ეს ცვლილებები უნდა განხორციელდეს და ლექსიკონი განახლდეს. განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა ამ დოკუმენტის პროექტი და ახლა განახლებული ორთოგრაფიის წესებია შემოთავაზებული, მათ შორის რელიგიასთან დაკავშირებული სახელები. ვარაუდობენ, რომ სიტყვები „ღმერთი“, „აღდგომა“, „პატრიარქი“ დაინეროს დიდი ასოებით. თქვენ როგორც მწერალი, მათ შორის, როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი, როგორ შეაფასებთ ამ სიახლეებს?

**მიტროპოლიტი ილარიონი:** მე მათ დადებითად ვაფასებ, მაგრამ ამას არ შეიძლება სიახლე ეწოდოს. ეს არის დაბრუნება სალიტერატურო რუსული ენის იმ ნორმებთან, რომლებიც არსებობდა მე-XIX საუკუნეშიც, და მე-XX საუკუნის დასაწყისშიც, და რომლებიც, იდეოლოგიური მიზეზების გამო, საბჭოთა პერიოდში სპეციალურად რელიგიისა და მორწმუნეების დამცირებისა და ფეხქვეშ გათელვის მიზნით დამახინჯდა. ამ მიზნით სიტყვა „ღმერთი“ ინერებოდა პატარა ასოთი, სიტყვა „ღვთისმშობელი“ ინერებოდა სტრიქონული ასოებით. მაშინ როცა მორწმუნე ადამიანები ყოველთვის – საბჭოთა პერიოდშიც, მანამდეც, და ახლაც – ამ სიტყვებს დიდი სანყისი ასოებით წერდნენ.

ეკლესიაში ჩვენი ნორმატივები გვაქვს, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ, ისინი გამოქვეყნებულია. ის გამოცემები, რომლებიც ეკლესიის ეგიდით გამოდის, გარკვეულ წესებს მიყვებიან. სიტყვა „ღმერთს“ ჩვენ ყოველთვის დიდი ასოთი ვწერთ გარდა იმ შემთხვევისა, როცა საუბარი წარმართულ ღმერთებს ეხება: ამ შემთხვევაში სიტყვა „ღმერთი“ პატარა ასოთი ინერება. ჩვენ სიტყვა „ეკლესიას“ დიდი ასოთი ვწერთ, როდესაც საუბარი ეხება ეკლესიას, როგორც ორგანიზაციას. მაგრამ თუ ვსაუბრობთ ეკლესიაზე, როგორც ტაძრის ნაგებობაზე, მაშინ მას ვწერთ პატარა ასოთი. და ასე შემდეგ, ანუ არსებობს გარკვეული ლოგიკა ამა თუ იმ სიტყვების დიდი ან პატარა ასოებით დანერისას და ჩვენ მივყვებით ამ ლოგიკას. ის დამუშავდა, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ მე-XIX საუკუნეში, როცა დიდი რუსი მწერლების მიერ ჩვენი ლიტერატურული ენა იქმნებოდა, მაგრამ ის, ვიმეორებ, საბჭოთა დროს დამახინჯდა. ახლა ეს დამახინჯებები მოშორდება და ეს მხოლოდ მისასალმებელია.

**ე. გრაჩევა:** მეუფევე, პირდაპირი შეკითხვა თქვენ, როგორც საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ეს დაკავშირებულია გრასში ფრანგულ სასამართლოს გადაწყვეტილებასთან, რომელმაც კანის მთავარანგელოზ მიქაელის ეკლესია ჩვენი ქვეყნის საკუთრებად აღიარა. ესეც ასეთი გრძელი ამბავია. შეიძლება, თქვენ ამ დავის წინარე ისტორიის შესახებ დაწვრილებით მოგვითხროთ? ამ დავის გამო ტაძარი ახლა უმოქმედოა. გთხოვთ, გვითხრათ, როგორ მოხდა, რომ ჩვენს ქონებას საფრანგეთს ვედავებით? როგორი იქნება ახლა ტაძრის ბედი? ჩატარდება იქ ღვთისმსახურებები?

**მიტროპოლიტი ილარიონი:** საქმე იმაშია, რომ საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, ყველა რელიგიური კონფესია ცენტრალიზებული ორგანიზაციების სახით არ არსებობს, არამედ ასოციაციების სახით, ეს ნიშნავს, მაგალითად, საფრანგეთის რომის კათოლიკურ ეკლესიას არ აქვს იურიდიული პირის სტატუსი. ის კანონიკურად გაფორმებულია, იქ არის ეპისკოპოსთა კონფერენცია, მაგრამ ფრანგული სამართლის თვალსაზრისით, თითოეული სამრევლო სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა ასოციაციას, ანუ ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც შეიკრიბნენ გარკვეული მიზნის შესასრულებლად, ამ შემთხვევაში – რელიგიურის. ამას ფრანგულად უწოდებენ „association sans but lucratif“, ანუ „ასოციაციას კომერციული მიზნების გარეშე“, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „არაკომერციულ გაერთიანებას“.

ასოციაციამ, რომელიც კანის მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარს ფლობდა, ის ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. იქ არათუ რემონტი არ გაკეთებულა, იქ გუმბათიც კი ჩამოინგრა, და ის ახლა მიწაზე დევს. შენობა შემოღობილია, ის ავარიულია. იქ უკვე ექვსი წელია ხალხს არ უშვებენ. მღვდელი, რომელიც ამ ასოციაციის მიერ მსახურებისთვის არის მინიჭებული, ღვთისმსახურებას კარავში ასრულებს. ეს აღმაშფოთებელი ვითარება ამ ასოციაციის ხელმძღვანელობის ბრალეულობის გამო შეიქმნა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ახლა ტაძარი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა, რადგან ის მე-XIX საუკუნის ბოლოს რუსეთის საიმპერატორო ოჯახის ხარჯებით აიგო. ის რუსეთის სახელმწიფოს საკუთრება იყო, და ის რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებაში ბრუნდება. ჩვენ შეგვიძლია, როგორც იქნა თავისუფლად ამოვისუნთქოთ, რადგან ახლა რუსეთის სახელმწიფო იზრუნებს ამ ეკლესიის აღდგენაზე, კაპიტალური რემონტის ჩატარებაზე.

მე დიდად ვიმედოვნებ, რომ მალევე მას შემდეგ, რაც ტაძარში გადაუდებელი სამუშაოების ჩატარდება, მორწმუნეები ამ ისტორიულ რუსულ ტაძარში კვლავ შეიძლება ღვთისმსახურებაში მონაწილეობის მიღებას.

**ე. გრაჩევა:** იმედი ვიქონიოთ, რომ ის ისეთივე მართლმადიდებლობის მარგალიტად გადაიქცევა ცისფერ სანაპიროზე, როგორსაც ნიცას წმინდა ნიკოლოზის ეკლესია წარმოადგენს. დიდი მადლობა, მეუფევე, იმისთვის, რომ ჩვენს კითხვებს უპასუხეთ.

**მიტროპოლიტი ილარიონი:** გმადლობთ, ეკატერინე.

*გადაცემის მეორე ნაწილში მიტროპოლიტმა ილარიონმა მაცურებლების შეკითხვებს უპასუხა, რომლებიც*

გადაცემის „ეკლესიისა და მსოფლიო“-ს ვებ-გვერდზე შემოვიდა.

**კითხვა:** რუსეთში ყოველდღიურად უამრავი ადამიანი კვდება, არა მხოლოდ კორონავირუსისგან, არამედ სხვა სერიოზული დაავადებებისგანაც. მაგალითად, გრიპისგან, ტუბერკულოზისგან, გულის დაავადებებისგან. გასულ წელს რუსეთში მომხდარი ავტოსაგზაო უბედური შემთხვევების შედეგად 11 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. თუმცა, რატომღაც, მთელი ყურადღება კოვიდზეა მიპყრობილი, და თქვენ პირადადაც მუდმივად ამაზე საუბრობთ. მეუფევ, ჩემი აზრით, ეს პრობლემა თითოდააა გამოწვევილი.

**მიტროპოლიტი ილარიონი:** არ ვიცი, ყოფილხართ თუ არა „ნითელი ზონის“ ჰოსპიტალში ან საავადმყოფოში. წადით, ნახეთ. არ დაიზაროთ, ჩაიცვით სპეცტანსაცმელი, წადით ნახეთ ეს ადამიანები, რომლებიც ხელოვნურ სასუნთქ აპარატზე არიან მიერთებულები, შეხედეთ ადამიანებს, რომლებიც კვებიან. შესაძლოა, თქვენს ოჯახს ეს ჯერ კიდევ არ შეხებია, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს ალბათ რომელიმე თქვენს ახლობელ ადამიანს შეეხება. მაშინ ნახავთ, რომ ეს პრობლემა არ არის თითიდან გამოწვევილი. მხოლოდ მაშინ გვიანი იქნება. სამწუხაროდ, ძალიან ბევრია ისეთი, როგორც თქვენ, რომლებსაც არა მარტო ასეთი შეხედულებები აქვთ, არამედ აყდერებენ მათ. სინამდვილეში ის, რაც ხდება, სრულიად შეუდარებელია იმასთან, რასაც თქვენ აღწერთ. თქვენ თვითონ წერთ, რომ გასულ წელს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 11 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ხოლო კორონავირუსისგან დღეში ათასზე მეტი ადამიანი იღუპება. ასე რომ, შეადარეთ ეს რიცხვები. ამ რიცხვების უბრალო შედარებაც კი დაგანხებთ, რომ პრობლემა არ არის თითიდან გამოწვევილი.

**კითხვა:** მოგესალმებით, მეუფევ. მინდა მადლობა გადაგიხადოთ ვაქცინაციის სასარგებლოდ თქვენი აქტიური პოზიციისთვის. მე თვითონ გავიკეთე აცრა, უფრო მეტიც, ვგეგმავდი რევაქცინაციის გაკეთებას. ეს არჩევანი მე თვითონ გავაკეთე, რადგან არ მინდა მოვკვდე. მაგრამ ახლობლებისთვის ახსნა და დარწმუნება არ გამომდის. ჩემი არგუმენტაცია მათზე არ მოქმედებს. ჩემი მეგობრების ნახევარი და რამდენიმე ახლობელი – მგზნებარე, შეიძლება ითქვას, „ზომბირებული“ ანტივაქცერია. როგორ ავუხსნა ვაქცინაციის აუცილებლობა მართლმადიდებლური თვალსაზრისით?

**მიტროპოლიტი ილარიონი:** იცით, ჩემი არგუმენტებიც ბევრზე არ მოქმედებს. აი ეს-ესაა მე ნავიკითხე კითხვა, სადაც ნათქვამი იყო, რომ პრობლემა თითიდანაა გამოწვევილი. ციფრები ქვეყნდება. დღეში ათასობით ადამიანი იღუპება, მაგრამ ვილაცას სურს, მიიჩნევდეს, რომ პრობლემა თითიდანაა გამოწვევილი. ვილაცას სურს დაიჯეროს, რომ კოვიდი – ეს იგივეა, რაც სეზონური გრიპი. არიან ადამიანები, და ისინი ძალიან ბევრნი არიან, რომლებიც ამჯობინებენ არა ციფრებსა და ფაქტებს, არამედ მითებსა და ჭორებს დაუჯერონ. ისინი ამ მითებით ცხოვრობენ, ეს ხალხი ძალიან აგრესიულები არიან, როგორც ახლა ბევრი ჩვენი ანტივაქცერი: ისინი ხომ ძალიან აგრესიულები არიან, ისინი თავს ესხმიან სხვა ადამიანებს, არ ჩერდებიან იმის წინაშე, რომ გააყალბონ ან გაყალბებული სერთიფიკატები იყიდონ, ანუ ღრმად უზნეო ქმედებებზეც არ ჩერდებიან. არიან ადამიანები, რომელთა გადარწმუნებაც შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მათ სიმართლე უნდა ვუთხრათ, ვუთხრათ რა ხდება სინამდვილეში. და თუ არ სჯერათ, თუ ამისთვის თავს დაგვეხსმიან, მაშინ ეს უნდა მოვითმინოთ. თუ მათ არ სჯერათ ან არ უნდათ ჩვენი მოსმენა, მაშინ ამ პრობლემას ჩვენ ხშირ შემთხვევაში ვერაფერს მოვუხერხებთ, სამწუხაროდ.

ბევრი ადამიანია, ვისაც კოვიდის არ სჯეროდა, ეგონათ, რომ ეს ყველაფერი ზღაპრებია, რომ ეს პრობლემა თითქმის გამონოვლილია, და შედეგად დაავადდნენ და ახლა უკვე იმქვეყნად წავიდნენ. არიან ადამიანები, რომლებიც სხვებს აცრის გაკეთებას არ ურჩევდნენ, თავიანთ ნათესაებს, და ხელი შეუწყვეს იმას, რომ ეს ხალხი იმქვეყნად წავიდა, მძიმე ტანჯვაში მოკვდა. ახლა კი ჩვენთან მოდიან, მღვდლებთან, აღსარებაზე და ამბობენ: როგორ მოვიინანიებ იმას, რომ საკუთარი დედა არ გადავარჩინე ან საკუთარი ბებია არ გადავარჩინე... ჩვენ ახლა მუდმივად ამას ვაწყდებით. სამწუხაროდ, ადამიანები გვიან ნანობენ და მაშინ მოდიან გონს, როცა უკვე საქმის გამოსწორება შეუძლებელია.

**კითხვა:** ორი მსგავსი კითხვა: ერთი კონსტანტინესგან, რომლის დედაც ავად არის. ის მოუნათლაფია და მას სურს მისთვის ეკლესიაში ილოცოს. და მეორე კითხვა სვეტლანასგან, რომელიც კითხულობს, როგორ შეიძლება მიცვალებულებისთვის ლოცვა, თუ ისინი მართლმადიდებლები არ იყვნენ, იყვნენ კათოლიკები ან სხვა ქრისტიანულ კონფესიებს მიეკუთვნებოდნენ.

**მიტროპოლიტი ილარიონი:** მართლმადიდებელ ეკლესიაში ასეთი წესი არსებობს, რომ გარკვეული სახის მოხსენიება – როგორც ჯანმრთელისთვის, ისე მიცვალებულისთვის, და სწორედ ის მოხსენიება, რომელიც ღვთისმსახურებაზე საჯაროდ სრულდება – სრულდება მხოლოდ მართლმადიდებლებთან მიმართებაში, როგორც ცოცხალთათვის, ასევე მიცვალებულთათვის. ეს ეხება პროსკომედიაში მოხსენიებას, ანუ საღმრთო ლიტურგიის დაწყებამდე, ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მოსახსენებლები ხმამაღლა იკითხება. მაგრამ არავინ უშლის ხელს მართლმადიდებელ ქრისტიანს, ილოცოს თავისი საყვარელი ადამიანებისთვის, მიუხედავად მათი კონფესიისადმი მიკუთვნებულობისა. ეს ეხება როგორც ცოცხლებს, ასევე მიცვალებულებს.

უფალმა მცნება მოგვცა ვილოცოთ ერთმანეთისთვის და არა მხოლოდ მართლმადიდებელი ადამიანებისთვის. ამიტომ, თუ გსურთ ილოცოთ თქვენი ახლობელი ადამიანისთვის, ცოცხალისთვის თუ გარდაცვლილისთვის, მაშინ არავინ შეგიშლით ხელს. ეს კარგი, კეთილი და წმინდა საქმეა.

**კითხვა:** რამდენიმე წლის წინ, როცა მონიჭულ ასაკში ვიყავი, ნათლობა ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიაში მივიღე, რადგან იმ დროს ათენში ვცხოვრობდი. კითხვა: ჩემთვის, როგორც ახლა რუსეთში მცხოვრები მართლმადიდებლისთვის, ეს ცვლის რამეს? ხელახლა უნდა მოვინათლო?

**მიტროპოლიტი ილარიონი:** თქვენ არ გჭირდებათ ხელახლა ნათლობა. ჩვენ სარწმუნოების სიმბოლოში ვამბობთ: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსაბეჭებელად ცოდვათა“. თუ ადამიანმა ერთხელ მიიღო ნათლობა, მაშინ მას არანაირი ხელახალი ნათლობა არ სჭირდება. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის, მაგალითად, რომელიმე სქიზმატურ საზოგადოებაში რომელიმე ცრუ მღვდელმა ან თვითმარქვიამ მონათლა, რომელსაც კანონიერი ხელთდასხმა არ გააჩნდა. აი, ასეთ შემთხვევაში აღესრულება ნათლობის საიდუმლო. ამასთანავე ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის განმეორებითია, რადგან ჩვენ ვთვლით, რომ თვითმარქვიის ან განხეთქილებაში მყოფის მიერ შესრულებული წინანდელი „ნათლობა“ ნამდვილი არ იყო.

მსურს ეს გადაცემა პავლე მოციქულის ეფესელთა მიმართ ეპისტოლის სიტყვებით დავასრულო: „ამისთვის ნუ იყოფით უგნურ, არამედ გულისწმა-ჰყოფდით, რად-იგი არს ნებაჲ უფლისაჲ“ (ეფეს. 5:17).

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, დაე უფალმა დაიფაროს თითოეული თქვენგანი.

*სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური*

---

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88565/>